გაიმართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მორიგი სხდომა უწმინდესი პატრიარქის კირილეს თავმჯდომარეობით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 25.08.2022. 25 აგვისტოს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის მორიგი სხდომის მუშაობას ჩაუდგა სათავეში, რომელიც პირისპირ-დისტანციურ ფორმატში მიმდინარეობს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარი სხდომებში მონაწილეობას იღებს მოსკოვის დანილოვის მონასტრის საპატრიარქო და სინოდალური რეზიდენციიდან, – **იტყობინება** მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს პრეს-სამსახური.

იქვე იმყოფება პატრიარქის მოსკოვის სამიტროპოლიტოს ადგილმონაცვლე კრუტიცისა და კოლომენის მიტროპოლიტი პავლე, მოსკოვის საპატრიარქოს საქმეთა მმართველი ვოსკრესენის მიტროპოლიტი დიონისე, საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი.

წმინდა სინოდის სხვა წევრები სხდომებში ვიდეო-კავშირის მეშვეობით მონაწილეობენ.

სხდომა უწმინდესმა მეუფემ გახსნა და სინოდის წევრებს შესავალი სიტყვით მიმართა.

„ჩვენ ვიკრიბებით იმ დროს, როდესაც წმინდა რუსის სივრცეებში, როგორც მოგეხსენებათ, ყველაფერი მშვიდად არ არის. დღეს ბევრი ადამიანი იტანჯება, რეალურად იტანჯება, მაგრამ ეს ტანჯვები დღეს არ დაწყებულა, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებენ, არამედ გრძელდება უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში, – განაცხადა უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ. – დონბასში მრავალი ადამიანი მართლაც უძლიერესი წნეხის ქვეშ იმყოფებოდა, და ყოველივე ამან ისინი ღრმა უკმაყოფილების მდგომარეობამდე მიიყვანა. ხოლო იქ, სადაც სამართლიანობა ირღვევა, ყოველთვის წარმოიშობა უსამართლობისადმი წინააღმდეგობა, და ეს უკვე რვაწლიანი ისტორია დღეს მნიშვნელოვნად რადიკალიზირდა“.

„ჩვენი ეკლესია ყოველთვის გამოდის მშვიდობისა და შერიგების სიტყვით; სხვა სიტყვა ეკლესიას არც შეიძლება ჰქონდეს, – განაგრძო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა. – მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ „მშვიდობა“, თუ იმავდროულად არ ვილაპარაკეთ სამართლიანობაზე. მშვიდობა სამართლიანობის გარეშე არის ის, რაც აცემენტებს და აძლიერებს ადამიანურ ტანჯვებს. სამართლიანობის გარეშე ვერანაირი მშვიდობა ვერ იქნება მყარი, ის დიდხანს ვერ იარსებებს. ამიტომ დღეს ჩვენი ლოცვები მიმართულია იმისკენ, მშვიდობამ და სამართლიანობამ დაისადგუროს იმათთან, ვინც მართლაც ძალიან რთულ პერიოდს გადის, ვინც განიცდის პირად ტანჯვას და ვინც იზიარებს თავისი ხალხის ტანჯვებს“.

„ვილოცოთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე დასრულდეს ეს მოვლენები, რომ მშვიდობა და სამართლიანობა გარდამოხდეს დონბასის მიწაზე, რომ გაჩნდეს ადამიანებისთვის მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობა ამ რეგიონების შემდგომი ეკონომიური, სულიერი და კულტურული განვითარებისთვის“, – დასძინა უწმინდესმა მეუფემ.

შემდეგ უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ კრებას დღის წესრიგი წარუდგინა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89561/